ცისკარი

1873

ბოლონდელი ნომერი.

წელიწადი მეჩვიდმეტე

წოდება თხუზულებათა

I.—განცხადება.

II.—კატაკომბი. (მოთხრ. ნათ.) ივ. კერესელიძისა.

III.—მ. ოგზაური. (ლექსი.) მისივე.

IV.—სამწუხარო ანბავი. იოსებ ელიოზოვისა.

ტფილისი

ი. კერესელიძის სტამბაში

1873

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან.

მომავალს **1874** წელიწადს ჩუენი «ცისკარი» გადადგება მეთვრამეტე წელიწადში, ეს, ამდენის წლის ქართულის ჟურნალის გამოცემა, საქართველოში შესანიშნავი უნდა იყოს ჩუენის მკითხველის საზოგადოებისათჳს, რომელთაცა კარგათ მოეხსენებათ თუ ვითარსა შრომას მოითხოვდა, მაშ აქ მეტი იქნება მოვილაპარაკოთ ამ სიკეთეზედ, რა სიკეთეც მოუტანე ქართულს ლიტერატურას,—ეს მაინც ცხადად სჩანს, თუ რამდენი წაასალისა მწერლობაში ⁄ რამდენი ჟურნალები ⁄ გაზეთები დაბადა ამ დედა ბოძმა; მხოლოდ ახლა ამას ვითხოვთ, ვისაცა სურდეს დაბარება ამ ნამსახურის «ცისკრისა» დროთი აცნობოს რედაქციასა.

რედაქტორი ი. კ.

— მომიტევე, უთხრა ფაბიოლლას სირამა, რე არ შეიძლიან ამ წიგნის წაკითხვა. ეს წიგნი ცუდი ჯ ზნეობის წინააღმდეგი წიგნია. ამ წიგნის დამწერი დაიცინება იმაზედ, რაც კაცისათჳს ძვირფასია ჯ წმინდა. არის იმისთანა ნივთი, რომლის დაცინება არ შეიძლება, უნდა პატივსა ვცემდეთ ჯ მუსლი მოუყაროთ.

— მერე, მოუყარე მუსლი რამდენიც გინდოდეს. მაგ წიგნას, უთხრა სიცილით ფაბიოლლამ. ეველას თავისი ჭკუა აქუს.

— რასაკვირველია ეგ აგრე არის, მაგრამ არიან ნივთები, რომელსაცა უნდა პატივსა ვცემდეთ ჯ ეველამ იმათზედ ერთი ჭკუა ვიქონიოთ.

— მერე რა ნივთები არიან ეგენი?

— პატივისცემა კეთილისა ჯ თავის შეწირულება; ბიწიერების სიძულილი ჯ ბოროტებისა, აღსრულება თავისის მოვალეობისა.

— როგორ მოვალეობისა! სწორე კითხრა, მე არ ვიცი მოვალეობა რა არის, ჩემის აზრით უნდა სცხოვრებდეს კაცი მხიარულად მინამ ცოცხალია, სხვა სულ სიცრუე არის.

— ჩემის აზრით კი, არა. პირველი მოვალეობა კაცისა ის არის, რომ უყვარდეს ჯ ეშინოდეს ღუთი-

სა,—უეკარდეს კაცი, როგორც თავისი თავი, ბოლოს კიდევ არის ერთი მოვალეობა, ეს არის პატივის ცემა დედისა, მამისა ⸗ ოჯველის თავისი ნათესავისა. ამ გრძობას ⸗ ამ მოვალეობას რომ დასცინოს ვინმემ, ის არის დაშნაშაკე.

—შენ ბევრი რაღაცაები თქვი. შენ ღმერთი ახსენე ⸗ მე კი არ ვიცი ვინ არის ღმერთი? მე ვიცნობ მხოლოდ ღმერთაებს ⸗ ღმერთებს, ისინი ბევრნი არიან, იმათ თაეკანსა სცემენ ჩუწნხ ტაძრებში სულელები, იქნება შენა ფიქრობ, რომ მე მჯერა, ვითომც იეოს იუპიტერ ღმერია, ან მინერვა, ან ვენერა? სულაც არა.

— მეც არა მრწანან ეგ ღმერთები, მძულან კიდეც, მე შენ ველაპარაკები იმ ღმერთზედ, რომელმაცა შექმნა ცა ⸗ ქვეანა, ხილული ⸗ უხილავი; შენა, მე ⸗ ოჯველი კაცი. ის იეო ⸗ იქნება. რომ მიეწვდეთ იმის მიუწდომელს განგებას, არ შეგვიძლიან, მაგრამ ვგრძნობთ კი ჩუწნ იმას. ის არის შოძცემი ოჯველის კეთილისა ⸗ წეარო ჩუწნის ცხოვრებისა.

სირა ლაპარაკობდა დაბეჯითებული, სარწმუნოებით ⸗ შინაგანის მღუთიურის ძალით. ფაბიოლას არ ესმოდა ეს ლაპარაკი; მაგრამ დიდის ეურადღებით კი უსმენდა ⸗ უკვირდა. სირას განთლებულმა ჰირის სა-

ხემ, გულის სიმი შეურეია ფაბიოლლასა. იფიქრა, რომ სირა რაღაც ფანტაზიორი იყო; ესე იგი სულელი. ასე არის ყოველთჳს. აბა უანბეთ იმ ქალს, რომელიცა გართულია თავის თავის კეკლუცობაში, რომ არიან იმისთანა ქალები ქვეყანაზედ, რომელნიცა უვლიან უფასოთ ავათმყოფებს, უხვევენ დაჭრილებასა ⁄ დასტრიალებენ მრთელი დღე, მაშინვე ის კეკლუცი ქალი იტყვის: ტუტუცები არიანო, ⁄ შენსას იტყვის სულელიაო. აბა უანბეთ კაცს, რომელიცა გართულია სიმდიდრის შეზინებაში, სულ იმას ფიქრობს გამდიდრეს როგორმე, რომ არიან იმისთანა კაცები, რომელიცა იღებენ სელს ყოველივე ფერზედ, მიდიან აფრიკაში, იმ ქვეყნების ურწმუნო სალხში, სადაცა ⁄ ქადაგებდნენ სახარებასა, რომ მოაქციონ ⁄ დაუნონ ქრისტეს ⁄ სწავლის გზაზედ, მაშინვე ის კაცი იტყვის: სულელიაო; აბა კიდეე უთხარით ამ სიმდიდრეში გართულს, რომ არიან კაცნი, რომელნიცა ფიქრობენ მრთელი დღე, როგორმე გამართონ ღარიბების შესანახი სახლები, ავათ მყოფებისთვინ შესანახი სადგომები, ურუ ⁄ მუნჯებისთვის დააფუძნონ სასწავლებლები, მაშინვე იტყვიან, სულელიაო. მაგრამ, დაუბრუნდეთ ფაბიოლლასა ⁄ ხირასა.

— რასაც შენ ანბობ, სულკარგათ ლაპარაკობ, უთხრა ფაბიოლლამ, სულ წაკითხულია ეგმარტო ბ საქმით, აბა რა დასაჯერებელია, აბა როგორ შეიძლება, შევიყვარო მოყვასი, როგორც ჩემი თავი? ესკი შეიძლება, მიყვარდეს მამა, შვილი, ან ნათესავი, თუმცა ესეც ძნელია. თუნდა ავიღოთ მამა ჩემი, რომელსაცა უყვარვარ ბ მანებიერებს, მაგრამ ისე კი არ მიყვარს, როგორც ჩემი თავი. არც შეიძლება, რომ მთხოვოს ვინმემ, რომ ჩემ თავსავით მიყვარდეს: კარგია ერთი, მაგ სულელობას ნულარ იტყვი!

— ეოფილან კი კაცნი, რომელნიცა დახოცილან მოყვასისა თჯს. თუმცა შენ გიკვირს ჩემო კარგო ქალბატონო, უპასუხა სირამ.

— ვინა ეოფილან მერე ისინი? ჰკითხა ფაბიოლლამ. სად არიან? მე იმაზედ ჩემ დღეში არა გამიგიარა.

— შენ ბევრი სხვაც არ გაგიგია, ჩემო კეთილო ქალბატონო.

— მიანბე, თუ ვინახავს რამ მაგ გვარი, მიანბე სირავ!

— ასე მალე ყველას ვერ გიანბობ, უთხრა სირამ, არც დრო მოსულა ჯერ. . . . არც დამიჯერებ. . . იფიქრებ მაშინვე რომ მე შენ ვატყუებ.

— ოჰ არა, მე მაგას არაოდეს არ ვიფიქრებ. ვიცი, რომ შენ ტყვილს არ იტყვი, მითხარი ჩქარა!

— გთხოვ გამანთავისუფლო, მეტის თქმა ალარ ძეძიძლიან. ჯერ ეს საკმაო არის, ამისთანავე ვსედავ ცნობის მოუკარეობისათვის ძიებანებ ოკუანსენო, ბ არა ამისათვის, რომ დამიჯერო. თქუენთვის ეს ანბავები შეძცევა არის, ჩემთვის კი. . . . ჩემთვის, დიდი ბეძარიტებაა.

ამდროს შემოვიდნენ ვილაცანი ბ ლაპარაკი შეწყდა, ჩუენნა ვსთქვით, რომ ადრე ფაბიოლლა სირას ისე უეურებდა, როგორც ჰირუტყვს, თავის მონას ბ ხანჯლითაც კი დაკოდა, მაგრამ ახლა თავისის გონიერულის ქცევით, ისე მიიზიდა ფაბიოლლას გული, რომ შეუყვარდა ბ ადრინდელის თვალებით ალარ უეურებდა.

ერთხელ, ფაბიოლლა რომ შევიდა თავის საწოლ ოთახში დასაძინებლად, სირაც თან შეიყვანა, გულავ თავისდღეში ეს არ უქმნია, ეს ჰირველი იყო. ფაბიოლლა წამოწვა მდიდარ კრაოტზედ ბ სირა მოისოფეხთან.

დიახ, უთხრა ფაბიოლლამ,—შენ წარმოიდგენ თვალით წინ ყოველ დღე მრთელს ქვეყანასა ბ ახალს აზრებს. ესე გავიგე გუშინდელი შენი ნათქვამი თუ არა?

შენ მითხარი რომ არის, უძლიერესი მიუწდომელი ჯ უგ-
ვლავი ღმერთი, რომელმაცა გაგვაჩინა ჩუენ, ყოველ-
თვის არის ჩუენთან, როდესაც იმის სახელს ვახსენებთ,
შენ ანბობ რომ იმან იცის ყოველი ჩუენი დაფარული,
ჩუენი საქმე. იმის წინ ყველანი ერთნი ვართ, იმისი
შვილები. მე მახსოვს, რომ მითხარი იმდღეს ის,
როდესაც მე... როდესაც შენ... ის, მაპატიე, საყვა-
რელო ჩემო სირა, მაპატიე, ჩემი დანაშაული! როგორ
გავბედე ჯ მოგექეცი ისე სასტიკად ჯ შეუბრალებლად;
შეგიძლიან მაპატიო?

ფაბიოლამ წაავლო ხელი სირას ჯ ვედარებითა
სთხოვდა ეპატიებინა.

— გთხოვ დიდის ვედრებით აღარ მოიგონო, უთხ-
რა სირამ. მე დიდი ბედნიერი ვარ, რომ ის შემთხვევა
იყო მიზეზი ჩემი შენთან დაახლოებისა. სჩანს მრავალ-
მოწყალე ღუთის ნება იყო, მიახლოვებოდი იმას ჯ მე
აღმომარჩევა შენის გამოხსნის შუამავლად.

— მაგრამ შენი ღმერთი ისე დიდი რომ არის,
ისე მრავალმოწყალე ჯ ისე სულგრძელი, რომ არ ვი-
ცი თაყვანი როგორა ცემ ჯ რა სხვერპლს ითხოვს
ჩემგან.

— უპირველესი მსხვერპლი იმისათვის არის, თბი-

ლი გული ჯ სარწმუნოება.

— მაშ ეტყობა, გაქვსთ იმისთანა წიგნი, საიდანაცა შეიტყობს კაცი იმის კანონებს? მე ძრიელა მსურდა წამეკითხნა.

— წიგნი არის. ის სწავლა დაგვიტევა ჩუენ ძემან ღუთისამან ჯ იმ საღრმთო წიგნს უწოდებთ სახარებასა.

— რაო, ძე ღუთისაო? წამოიძახა ფაბიოლლამ ჯ მიიფარა ხელი ჰირზედ. ოჰ სირა სირა? დამანებე თავი, შენ მე შამაშინე. . . სირა, იქნება შენა. . . . . .

ფაბიოლლამ ველარ გამოსთქვა სიტყვა, იმას შეეტყო რომ ქრისტიანები დასტრფიალებენ ღმერთსა ჯ იმისგვარსა, მაშინვე მიხვდა რომ სირა ქრისტიანი იყო. როგორ? ფიქრობდა ისა, სჩანს მაშ ქრისტიანებზედ რასაცა ანბობენ სულ ტყვილი ყოფილა; როგორცა სჩანს სირასაგან, ყველანი ამისი გულისანი უნდა იყვნენ წმინდანი, არა არ შეიძლება! ფაბიოლლას არა სწამდა თავიანთი ღმერთები, იმასა სურდა ეცნო ერთი ღმერთი, სოკრატის ფილოსოფიაც წაეკითხა, რომელშიაცა სწერდა რომ არის ერთი ღმერთი უსილავი ჯ შეილისა კი არა იცოდარა. ის ღამე გაატარა ფიქრებით.

XI.

ქალაქს რომის გარეთ, გარეშემო ნახევარ ქალაქ-ის სიმკრეველზედ, დიდ ძალის დედა მიწის სივრცეზედ, გათხრილებია ქვესკნელში დიდროანი ხვიმირები, სადა-ცა არიან მრავალთ უმრავლესნი ოთახები ⸗ კორიდო-რები, რომელსაცა უწოდებენ კატაკომბსა. უნდა ვსთქ-ვათ ახლა რამდენიმე სიტყვა ამ კატაკომბებზედ თუ სა-იდან წარმოსდგა ⸗ რა როლსა თამაშობდა უწინდელს ქრისტიანობის დროსა.

ისტორიკების აზრით, რომის ახლო, პირველს ქა-ლაქის აღშენების დროს იყვნენ გათხრილები დიდრონი ორმოები, რომელიცა თან ⸗ თან კეთდებოდა დიდ ხევებზედ, რადგანც იქიდან იღებდნენ თიხასა სახლების ასაშენებლად. რამდენსაც მიწასა სთხრიდნენ ავურების დასაწვავად, იმდენი ⸗ იმდენი ეს დიდროანი ნათხარე-ბი ვრცელდებოდა ⸗ ღრუანტელები ღრმა სდებოდა. პი-რველ ქრისტიანებმა ამ დიდროანის ნათხარებით ისარ-გებლეს ასე, რომ იქა მარხავდნენ თავიანთ კვდრებსა; იქვე ანდერძის ასაგებად ერთს ღრმა ალაგს ⸗ მიეარდ-ნილს ხვიმირში გააკეთეს ეკკლესია. რასაკვირველია, კვ-დრის პატრონები უფრო მრავალნი, საღსოვრად დაად-

გავდნენ ზოგი ერთ კედრებს მეგლებსა ქვებზედ, ანუ მეგლებზედ სწერდნენ ვინ ვინ იყო ჯ ვის გვარს ეკუთ-ვნოდა.

ბევრმა მოგზაურმა აღწერა ეს კატაკომბები, მაგრამ ისე ნათლად ვერ დაგვიწერეს, როგორიც არის. აქ არი-ან, გრძელ გრძელი დიდრონი ბნელი კორრიდორები-სადაცა მგზავრნი ჩადიან სამთლებითა, კარიდორები, აქეთ ჯ იქით ურიცხვი ოთახები აქუს ჩამწკრიებულები, ს რომელთა-ცა ფანჯრები სრულებით ერსაიდან. არა აქუსთ. ამ კორიდორების კუთხებში ქრისტიანები მარხავდნენ თა-ვიანთ კედრებსა, ოთახებში თან ჯ თან აქა იქ აშენე-ბდნენ ეკლესიებსა, სადაცა ეოველდღე წირვა ლოცვა ჰქონდათ. როდესაც კეისრებისაგან ქრისტიანები დევნი-ლებაში იყვნეს, ამ კატაკომბებში იმალებოდნენ ჯ თუ მოჰკლავდნენ ვისმეს სარწმუნოებისათჳს, აქ იმარხებოდ-ნენ. ვინც გულგრილი კაცია, იმან რომ ნახოს ეს ალა-გები, იმისათჳს არაფერია, მაგრამ გრძნობის მექონე კაცს უნდა მოუვიდეს ტირილი, როდესაც წარმოუდგე-ბა იმას თვალ წინ საშინელი ქრისტიანების ტანჯვა სარწმუნოებისათჳს, რომლისათჳს არ დაუზოგავთ არცა ქონება, არცა ცოლშვილი ჯ არცა სიცოცხლე; ისინი იხოცებოდნენ ანასობით ჯ იფლვებოდნენ ამ კატაკომბე-

ბში. ეს კატაკომბი იყო, რომელშაცა ჩამოაგდო ქრისტიანობა, დასცა ჯ ომოფსვრა ძირიანად კერპთა ეგვანის მცემლობა ჯ განავრცელა ქვეყანაზედ ქრისტეს ჭსწავლა. პირველ ქრისტიანეთა ძალა ჯ იმედი ეს კატაკომბი იყო. ახლაცა ბევრი ქვები იპოვნებიან იქ, ზედწარწერილობით, რომელნიცა მოგვითმრობენ შესაწუხარსა ანბავსა. აი რასა სწერს ერთი მოგზაური, რომელსაცა უნახავს ეს კატაკომბი:

«მე ვნახე კატაკომბი რომლისა ნახვამ ისეთი თავს ზარი დამცა, რომლის მზგავსი ჩემს სიცოცხლეში არ მიგვრძნია. როდესაც ჩაველი ბნელს მღვიმეში, მე ვიგრძენი უცებ რომ გული ამევსო მიუწდომელის მოწიწებითა ჯ ველარ შევიძელი სიტყვის გამოთქმა. მე ვემთხვიე იმავე საფლავის ქვებსა, რომელსაცა უეურებდნენ ადრე იმისთანა კაცები, რომელთაცა იცოდნენ გულმხურვალედ იმაზედ ლოცვა უფრო ჩუენზედ მეტად. მე მოძეწეურვა, დავარდნილიეავ. დავეხობიეავ იმ ალაგს, ჯ თაეანი მეცა იმ წმინდათა თანა-განსვენებულთათჳს ჯ სარწმუნოებისათჳს თავდადებულთათჳს, მაგრამ მეტი გზა არ იყო, უნდა გავეოლიეავ იმათ, ვინცა მიმიძღოდნენ წინა. როდესაც შევიარე ვიწრო გრძელი კორიდორი, სადაცა ორივე მხრივ საფლავები იყვნენ ჩარიგებულები, მე ვი-

გრძენი უფრ. მომატებული გულის ღვლვა. მე გამო-
მესატა ის მწუხარება, ის ტანჯვა, რომელსაცა მოე-
ლოდნენ ყოველს წამს ქრისტიანენი, რომელთაცა ინახა-
ვდა სიუჟარული ⁄ სარწმუნოება, მე მრცხვენო-
და, რომ არ ვიცოდი, შემხვდებოდა იმათი ხვედრი,
რომელიცა იყვნენ იქ უძრავათა. მეცა იმ გვარი ქრი-
სტიანი ვარ, როგორიც ყოფილან ისინი, ყოფილან
ახალგაზდანიც როგორც მე, უთხოვნიათ ღუთისათჳს
ის ბედნიერება რომ მოკდარიყვნენ სარწმუნოებისათჳს.
ჩუჱნ ამოვედით იმავე კიბით, რომელზედაც უვლიათ
მკელს ქრისტიანებსა, სიკვდილზედ მიმავალთა. მე მს-
ურდა დამეკოცნა ის ადგილები, დამეტირნა იმ გულის
საკლავ ალაგებზედ. მე არა ვსახავდი ღირსად ჩემ თა-
ვს დამედგა ფეხი იქ, სადაცა იმათ უვლიათ, როგორც
წმინდათა.»

ოკტომბრის თვის ბოლოს, ჰანკრატი ნაბადში გა-
ხვეული, მოვიდოდა რომის ქალაქის ერთს ვიწროს
ქუჩაში, რომელსაცა ეწოდებოდა თუბურრა. როგორცა
სჩანდა, ამ ქუჩის გზები ჰანკრატიმ კარგათ არ იცოდა
⁄ ვიღასაც სახლს დაეძებდა. ერთი სახლი ეჩვენა იმას
სუფთად სხვებზედ ⁄ ამისათჳს დაარახუნა. დიოგენმან,
რომელსაცა ვიცნობთ კიდეც, გაუღო კარები. ის იყო

ძ ღალი ტანის კაცი, ჭაღარა შერეული, გრძელი თმები ჰქონდა, რომელიცა გადაჰფენოდნენ აქეთ ⸗ იქით მხრებზედ. ის იდგა იქ თავისის ორის შვილით. უფროსი შვილი მათე, იო ამმოთხრელი ქვებზედ ზედწარწერილობისა, ხოლო მეორე სეკრიოს, ხატავდა კუთხეში სურათს, თუ როგორ აღადგინა მაცხოვარმა ღიაზარე. დიოგენიცა რაღასაც მუშაობდა ⸗ კარის რახუნი რომ შემოესმა, თავი დაანება ⸗ ჰანკრატის კარები გაუღო. დიონოსე იო მესაფლავე, მაგრამ მაშინდელს დროში მესაფლავეს დიდი ხმა ⸗ ჰატივი ჰქონდა ქრისტიანებში; ის ცო მეუფროსე ყველა მესაფლავეებზედ. როდესაც ჰანკრატიმ ნახა ქვა, რაზედაც სჯრიდა ასოებსა ჰკითხა:

— ეოველთჯს შენა ხაზავ ზედწარწერასა?

— ოჰ, არა მე მხოლოდ უწერ ღარიბებსა, რომელთაცა ფასის მიცემა არ შეუძლიანთ. ეს ქვა გაკეთებულია ერთის ღარიბის დედაკაცისათჯს, რომელსაცა ვწერავდი ეპიტაფიასა, ვიფიქრე, უეჭველად ათასის წლ ის შემდგომს წაიკითხამენ ქრისტიანები მოწინწებით ⸗ მაშინ დიდის კეისრის კედლები დანგრეულები იქნებიან მეთქი, ცუდათა ვსჯრი განა?

— ეს რა ფიცარია?

— ეს არის ძვირ ფასი მარმარილო, რომელიცა გაკეთებინა ჩუენმა კეთილშობილმა აგნესამ, ერთის ეკა-ლესიისათჳს, რომელსაცა დასტირიან მშობელნი.

ჰანკრატიმ წამოაკითხა ხელი ⁂ წაიკითხა შემ-დეგი,

« დენისეს, უმანკო ბაშვსა; იგი განისვენებს აქა წ-მინდათა შორის, მოიგონეთ ⁂ კურთხევით მოიხსენიეთ ამ ზედწარწერის შემთხზველი.»

ეს ქუა დღესაცა მრთლად ⁂ უვნებლიეთ არის და-რჩომილი:

მინამ ჰანკრატი წაიკითხავდა, დიონოსე მწუხარებით დაჴეურებდა იმ ქუასა, ორმად ჩაფიქრებული. იმისმა სა-ხემ მიიღო დიდებული გამომეტყველება.

— რაზედ დაფიქრდი აგრე მწუხარებით? ჴკითხ ჰანკრატიმ.

— მე ვფიქრობ. აგიღოთ, მკვდარი, უმანკობაშვი ⁂ დავმარხოთ მიტკალში წაგრგნილი, უბრალო საქმ-ეთა, რასაკვრველია მშობელნი დასტირებენ, მაგრამ სამ-წუხარო ქვეყნიდგან რომ გადასასლდა, უკეთეს ქვეყანაში? მხოლოდ ეს არის საშინელება, საძწუხარო ⁂ სამძიმო, რომ მოკრიფონ ლუკმალუკმად, დაგლიჯონ კერპთა ქრისტიანობისათჳს ⁂ ნაცვლად წმინდა მიტკალი-

სა, მიაყარო თიხა.

— განა ეგ მოხვდება ხოლმე ხშირად?

— რამდენი ემაწვილები მოუხრავთ, მშობლების თვალთ წინ, ვინ მოსთლის, მაგრამ მაინც გულმაგრად მდგარიან ქრისტიანობისათჳს.

— იცი ახლა რისთჳს მოველი შენთან დიონოსე. დედა ჩემა გთხოვათ ხვალ დილითადრეან ჩუჴნსა მოხვიდე. იქ შეიკრებიან ეპისკოპოზები, მღუდელნი, დიაკვნები ჯ შენც უნდა მოხვიდე, როგორც მესაფლავეების მეუფეროსე, რჩევისათჳს, რომ კატაკომბში უნდა გაითხაროს ისეთი ხვიმირები, რომ ქრისტიანების დამალვა ჯ იმათი ჰოვნა ძნელად შეიძლებოდეს, რადგანაც ხშა არის, კეისარსა სურს დიდი სვრა მოახდინოს ქრისტიანებისა.

ჰანკრატი, რა გამოეთხოვა ჯ გამოვიდა, დაჰბირა მოსვლა კატაკომბში ზოგი ერთი საფლავეების სანახავად.

მეორეს დღეს ჰანკრატის დედის სახლში მოხვდა დიდი კრება რჩევის გასაკეთებლად. ფული საკმაო იყო შეკრებილი, რომ მუშაობა დაეწყოთ; გადაწყვიტეს, სასაფლაოსათჳს მოემატებინათ ჯ მოემატებინათ ქრისტიანებისათჳს დასამალი ოთახები, რომ კერპთაყვანის

მცემელთ დევნა მოსდინათ, თავები იქ შეეფარებინათ, ყოველს მღვდელს დაუნიშნეს კატაკომბში, აქა იქ კუნჭულებში თითო ეკკლესია, სადაცა უნდა ყოველდღე წირვა ლოცვა ყოფილიყო, დიოგენს მიანდვეს მოსდინა განკარგულება, დაეცვა ქრისტიანები დევნილების დროსა. ერთის სიტყვით ეპისკოპოზი ამლევდა ყველას ბრძანებასა იმ სახით, როგორც ჯარის მეუფეროსე ამლევს ბძანებას, ომის წინა დღესა, მხოლოდ საომარი იარაღი ქრისტიანებს სხვა გვარი ჰქონდათ, ეს იყო, სარწმუნოება, ქრისტიანები მოელოდნენ ასალსა ტანჯულებასა, იმათ ამოსასოცლად მთავრობამ მიაყვანინა სხვა და სხვა მხრითგან მძვინვარე გარეული ჰირუტყვები, მიატანინა ათას გვარი სასიკვდინო იარაღები, ამის თჯს რამდენსამე ალაგს ძელები, ჩაძოსასჩობელად და ისარით დასასვრეტად. ქრისტიანებს ხელში არა ჰქონდათ რა, ქრისტეს ჯვარის მეტი; ძალა იყო კერპთ თაყვანის მცემელთ მსარეზედ, მაგრამ გამარჯვება უნდა ქრისტიანებს დარჩომოდათ.

შუადღისას ჰანკრატი მივიდა დიოგენთან, რომელმაცა გაიყოლა თან ორივე შვილები ბ წავიდნენ ფარნებით კატაკომბში ჩასასვლელად. ისინი მიეცნენ გრძელს პარრიდორს, სადაცა კაცს გზა აერეოდა, მაგრამ დიო-

ვენმა, რომელსაცა მიჭქონდა წინ ფარანი, გზები გაკვეთით იცოდა. ზოგჯერ შედგებოდა და ჰანკრატის უსსნიდა თვითოალაგის მნიშვნელობასა. ურიცხვი ოთახები გავლეს, იმათში ერთს მიადგნენ, რომლის კედელზედ მსატვრობა იყო.

— მე მსწავლული არა ვარ, უთხრა დიოგემა,—მაგრამ სამოცი წელიწადია რაც ამ კატაკომბში ვცხოვრებ, ბევრი გამიგონია მოხუცებულებისაგან, ჯ ბევრი მინახავს, ეს მსატვრობა ძრიელ ძველი ყრის. ეს წარმოგვიდგენს ყურძნის ვენახსა მსხმოიარესა, ეს არის ალლეგორია, ვენახი არის მე ღუთისა, ხოლო ჩუენ ქრისტიანი იმის შტონი ვართ. ორტი უკრავს ჩანგსა.

— ჩუენ ვნახეთ ყველა ერთი ეკკლესიის გარდა, სადაც იკრიბებიან ქრისტიანები, მაჩვენე ისიცა. უთხრა ჰანკრატიმ.

—ახლა გვიან არის, დრო შინ წავიდეთ, ეკკლესიის ნახვა მაშინ შეიძლება, როდესაც ეპისკოპოზი არის მწირველი.

ყველანი თანახმანი შეიქმნენ ჯ გამოვიდნენ ოთახითგან. როდესაც გამოდიოდა დიოგენმა სთქუა:

—როდესაც ეკკლესიაში მისლა გინდოდეს, გაიარე

ᲡᲘ კარრიდორი ᲯᲐ მერე მოუსვიე მარჯვნივ. კარების ბჯენ-ზედ დაგსვდება მსატვრობა, ღუთის მშობლისა, რო-მელსაცა ძე უჭირავს ხელში; იმის წინა დგანან ᲯᲐ თა-ყვანსა სცემენ მოგვნი...

XII.

აღმოსავლეთის მხარეზედ აოსრებდნენ ქრისტიან-ობასა დიოკლიტიანე ᲯᲐ ტიბერია. ბძანებამ, რომ და-უზოგველად უნდა ეჟლიტათ ქრისტიანები, მოაღწევს მაქსიმილიანემდინ. ეს ისეთი დრო იყო, რომ სასოგა-დოდ იმპერატორებმა გადაწყვიტეს, როგორც აღმოსა-ვლეთის მხარეზედ, ისე მრთელს რომის იმპერიაში სრუ-ლებით ამოეხოცათ ქრისტიანობა. პირველად უნდა და-ეხოცათ ქრისტიანობის სარწმუნოების მასწავლებელნი, ეპისკოპოზები, სამღუდელონი ᲯᲐ დიაკვნები; შემდეგ ქრი-სტიანები, დედა კაცი, თუ კაცი, დიდი, თუ პატარა, თუ რომ უარს არა ჰყოფდნენ ქრისტესა ᲯᲐ თაყვანს არა სცემდნენ კერპებს. რომის იმპერატორმა მაქსიმი-ლიანმა, გადასწყვიტა, რომ ქრისტიანების ჟლეტა უნდა

დაწყობილიყო, უცებ ჯ ერთს დღეს, მრთელის იმპერიის ქალაქებში; ისე უნდა მოქცეულიყვნენ ეს მკვლელები, რომ არც ედთი ქრისტიანი არსად გაქცეოდათ. ნოემბრის თვის დამდეგს მაქსიმილიანმა მოასდინა რჩევა, სადაცა უნდა გადაწყვეტილიყო ღონის—ძიება ქრისტიანების მოსპობისათჳს. იქ შეიყარნენ სასახლის დიდნი პირნი, სამოქალაქო ჯ სამხედრო ბძანებელნი. რომის ქალაქის მოსამართლემ ამ რჩევაში მოიყვანა თავისი შვილი კორვინი, რომელიცა უნდოდა დაენიშვნინებინა კეისრისათჳს, იმჳჯარის უფროსად, რომელსაცა უნდა გაეწყვიტა რომში მეოთხენი ქრისტიანები. იმას უნდა აღმოეჩინა ქრისტიანები, დაეჭირა ჯ მოეკვლევინებინა. სიცილიითგან, გალლიითგან, ისპანიითგან ჯ სხუა ქვეყნებითგან მოჳიდნენ მსაჯულები ამ რჩევაში დასასწრობად. მრავალნი ფილოსოფოსნი, მსწავლულნი, ორატორები, რომელთა რიცხვშიაცა იყო კალპურნი, მოვიდნენ ჯ მოითხოვდნენ კეისრისაგან, რომ დრო იყო, ახლა მაინც მოღებოდათ ბოლო ქრისტიანებსა. იმპერატორმა მაქსიმილიანმა უბრძანა ისინიც დასწრებულიყვნენ რჩევაშ.,

მაქსიმილიანი იმპერატორი იყო არა რომაელი, არამედ ბარბაროსი დაბადებით, კაცი გაუსათლებელი, უბ-

რალო სალდათი, რომელიცა შეექნილიეო იმპერატორად ბოროტის მოქმედებით, ის იეო სხვისათჳს ძუნწი ⸗ გაბნეველი თავის სიამოვნებაზედ, იმან არ იცოდა რა იეო მართლ მსაჯულება, არა ჰქონდა მოწეალე გული, ტანი, ჰქონდა ასმასი, მსარბეჭი ზრქელი, ეგითელი თ'ა, თვალები უელავდნენ როგორც ჰირუტევსა, ერთის სიტ-ეგით, ისა ჰგვანდა ჰირუტევსა, ვიდრე კაცსა. ეკლეს ეშინოდა იმისი, ქრისტიანების გარდა, ქრისტიანეს იმისი არ ეშინოდათ, რადგანც სიკვდილის შიში არა ჰქონდათ. ქრისტიანობისათჳს სიკვდილი იმათ ბედნიერებად მიაჩნდათ.

როდესაც რჩევის ჰი'ანი შეიეარნენ, იმპერატორი მაქსიმილიანი გამოვიდა ⸗ დაჯდა სამეფო ტახტზედ, გარს შემოუსხდნენ დარბაისელნი, კარებთან იდგნენ ეარაულები, მელთაცა ბძანებლობდა სებასტიანე, რომელიცა ერთს სვეტზედ მიეუდებული იეო ⸗ მწუხარებით ეურს უგდებდა ამ ანბავსა. რას მოიფექრებდა, ეს მძლავრი იმპერატორი მაქსიმილიანი, რომ იმას სიკვდილის შემდგომს, იმის ქალს ფაუსტას, შეირთავდა დიდი კოსტანტინე ⸗ ეს კოსტანტინე რა შეექნებოდა ქრისტიანი, ამ სალას, სადაცა ეს კრება იეო, ეკკლესიად გარდააქცევდა, საიდანაცა ისმის ასლა სიტეეა მღუთისა.

პირველად დაიწყეს სჯა კერპების ქურუმებმა; ისინი არწმუნებდნენ იქ მეოფთ რომ ღმერთნი გამწურალნი არიან, წულების აღელვების, მიწის ძვრის, ბარბაროსების შემოცვივნის მიზეზნი სულ ქრისტიანები არიან, რადგანც კერპებს თაყვანს არა სცემენ, მინამდისინ ვერ მოისვენებს რომის სალხი, მინამ ნაზარეელნი სრულებით არ მოისპობიანო, შემდგომს ფილოსოფოსებმა, ორატორებმა ჯ მსწავლულთ დაიწყეს სჯა, რომლის აზრი მაქსიმინიანემ ვერც ერთი ვერ გაიგო. ეველა ცილებს, რასაც კი ანბობდნენ ქრისტიანებზედ, იქ მეოფნი ერთის ხმით მოწმობდნენ. ანბობენ, რომ ქრისტიანები ხოცდნენ ჯ სჯამდნენ ვითომც კერპთ თაყვანის მცემლთ ემაწვილებსა, სადაც კი მოახელებდნენ; თაყვანსა სცემდნენ პირუტყვის თავსა ჯ სავსენი არიან ათას ნაირის ბოროტებითაო. ბევრი იუმცა ანბობდნენ ამას, მაგრამ თითონაც არა სჯერდათ. მხოლოდ ამისათჳს ანბობდნენ, რომ აეძრათ სალსში ქრისტიანების სიძულილი. ერთმა გაბედვით წამოიძახა კიდეც:

— ქრისტიანები ასლაცა ემორჩილებიან თავიანთ მღვდლებსა ჯ უნდათ რა დააქციონ მრთელი რომის იმპერია, მოკლან ჩუენი დიდი იმპერატორი.

ეს რომ გაიგონა მაქსიმილიანე იმპერატორმა, მაშინვე განრისხებულმა ნიშანი მისცა ხელით ჯ ყველანი გაჩუმდნენ. იმან დაიწყო!

» რაც შემეხება მე, მძულან ჭირიკით ქრისტიანები, ამისათჳს რომ იმათ, ჩემის იმპერიის დედა ქალაქის რომის შუა, გაბედეს ჯ დააფუძნეს იმისთანა უფლება, რომლით მე აღარ მეპუებიან ჯ არა მსახამენ მე ღმერთად. ისინი ემორჩილებიან თავიანთ ეპისკოპოზებს, ჯ მე კი არაფერად მაგდებენ. მე ველარ მოვითმენ ამ ეკვარსა ბოროტ მოქმედებასა.»

ამ სიტყვასედ, ყველანი ქებას მოჰყვენენ. არ იყო კაცი, რომ სარწმუნოების საქმეში ემორჩილებოდნენ, ეპისკოპოზებს ჯ არა საეროში.

— რომის მსაჯულო, მიუბრუნდა მაქსიმილიანე, შენ აღითქვი მიშოვნო იმისთანა კაცი, რომელიცა შეუბრალებლად ჯ შეუწყალებლად დაუწყებს ხოცვას ქრისტიანებსა,

— აი, ეს კაცი. მიუკო მსაჯულმა ჯ აჩვენა თავისი შვილი კორვინია.

მაქსიმილიანემ შესედა ჯ უთხრა:

— მგონია ეგ გამოდგება ამ საქმისთჳს, იმედი მაქუს ერთგულად აღასრულებს ჩემს ბძანებასა. მე მეჯ-

ავრება შემბრალე გულის კაცი. გასსოვდეს, რომ მე მოვითხოვ შენგან, სასტიკად აღსრულებასა. თუ კარგად მემსახურები, კარგათაც დაგსაჩუქრებ. გასწიე ჯ შენ იცი, მათრახებიც საკმაოთ ექნებათ შენს ჯარს ჯ ცულებიცა.

მაქსიმილიანე წამოდგა ჯ რომ უნდოდა გასვლა, დაინახა ფულვია, რომელიცა აგრეთვე რჩევაში იმყოფებოდა.

— ოჰ, ეგ შენა ხარ, შეჰვირა მაქსიმილიანმა,—წამოდექი წინა, უნდა ორი სიტყვა გითხრა.

ფულვია გაბედვით ჯ მხიარულად წადგა, თუმცა გულში ძრიელ ეშინოდა. იმან იცოდა რომ იმპერატორი იმასთან კარგათ ვერ იყო, ამისათჯს რომ იმან იცოდა, დიოკლიტიანესაგან ჩუმათ გამოგზავნილი იყო, რომ ამისათჯს თვალ ყური ედევნებინა; მაქსიმილიანემ იცოდა ესა, მაგრამ მალავდა ჯ დიდად ეჯავრებოდა კია.

— აგრე ტკბილად ჯ ცირებით ნუ იღიმებ, უთხრა მაქსიმილიანმა, ცბიერება არ ძიუვარს. შენ გამოგზავნეს მზვერავად, მაგრამ ჯერ შენი ხელოუნებისა კი არა მინახავსრა, თუმცა დიდ ფულათ მიზისარ. ახლა ნადირობა იწყობა,—ქრისტიანები ნადირები არიან ჯ

ვნახოთ როგორ ინადირებ. ახლა წადი!

ყველანი დაიფანტნენ. ამ შემთხვევის დროს, მეორეს დღეს ფაბიოლლას მამა მოუკდა. რამდენიმე თვე ის იყო შავებში, შინითვან გარეთ არ გამოსულა, ბოლოს, როდესაც ჰირველად ფეხი გარეთ გამოდგა, წავიდა აგნესას სანახავათა.

XIII

დღე, ქრისტიანების გამუსვრის კანონების გამოცემისა მოახლოვდა. კორვინის უბძანეს, მიეკრა სვეტზედ იმპერატორის გამოცემული უქაზი, ზედ შუა მეიდანზედ, სადაცა ხალხი ყველა ალაგებზედ ბევრი იკრიბებოდა. კორვინიმ იცოდა, თუ რა სიბრთხილე უნდოდა ამ უქაზის წრფელად დაცვასა, რადგანაც ნიკოდიმის ქალაქში მოხვდა, რომ ერთმა ქრისტიანე სალდათმა, მოგლიჯა ღამე ტ დახია ამ გვარი უქაზი. კორვინიამ მიიღო ეოველი ღონისძიება რომ რომის ქალაქში ამ გვარი საშინელი ტ იმის დასაღუპავი საქმე არ მოხდარიყო. ეს უქაზი დაწერილი იყო დიდროანის ასო-

ებითა ⰴ სელმოწერილი თვითან კეისრისაგან: სვეტი ამართეს ჩუმათ ღამე, როდესაც არა ვინ იყო მეიდანზედ ⰴ მიაკრეს ბძანება. მეორეს დილით ვინც წაიკითხავდა ⰴ გაიგებდა ყველას სრული უფლება ჰქონდა, ვისაც ქრისტიას მოიგდებდა, როგორც თავის სურვილი იყო მოეკლა. კორვინიმ სიბთხილისათჳს, მოუყენა იმ სვეტს ყარაულები, თვით ჰირველნი ვაჟკაცნი, იყვნენ მძვინვარენი ⰴ შეუბრალებელნი. ამ სალდათებზედ ბძანება იყო მიცემული, ვისაც კი მოახელებდნენ იმ სვეტთან, მაშინათვე მოეკლათ; ყარაულს რომ დაეძახნა, იმ ღამეს ვინ მოდისო, მაშინვე გამომლელს უნდა ეპასუხნა ღუთიური იმპერატორის მონა! ეს კორვინიმ ამისათჳს მოახდინა განკარგულება, რომ ამითი შეიტყობდნენ ქრისტიანი იყო გამვლელი, კერპთ თაყვანისმცემელი. ქრისტიანი მხოლოდ ერთს უსილავსა სასავდა ღმერთად ⰴ ის არ იტყოდა იმპერატორი ღმერთიო, ამითი იტყობდნენ ქრისტიანი იყო ⰴ მაშინვე მოჰკლავდნენ, ერთი მოსული სალდათი რომელიც იყო, გაივლიდა ⰴ გამოივლიდა ისარი სელში ⰴ თან ჰივასა სომდა, სხვა სალდათები მოშორებით იწვნენ რადგანც წვიმიანი ღამე იყო.

იმ ღამეს, მოხუცებული დიოგენი ⰴ იმისნი ორნი

შვილნი, რომ ისსდნენ შინ, გაიგონეს თავიანთ კარებთან ფეხის ხმა, იმათ მაშინვე გაუღეს ⸗ შემოიყვანეს ჰანკრატი ⸗ იმისი ქრისტიანიფე ამხანაგი კვადრატი.

ჩუენ მოველით თქუენთან ვახშმის საჭმელად, ⸗ ვთხოვთ შენ შვილებს წავიდნენ ბაზარში ⸗ გვიყიდონ რამ,—აი ფული, კარგი ღვინოც მოგვიტანინე.

ერთი შვილი დიოგენისა წავიდა სასყიდლათ ⸗ ისინი მოუსსდნენ გვერდით მოსუცებულსა.

— მინამ ვახშამზედ დავსსდებოდეთ, სადმე, ჩუენ წავალთ ⸗ ასლავე ფეხ ⸗ ფეხ მოვბრუნდებით. უთხრა კვადრატიმ.

ჰანკრატი იჯდა ჩუმათ.

— ნუ ფიქრობ, უთხრა ჰანკრატის ამხანაგმა. რაცა გვწადიათ ავასრულებთ.

— მე არცა ვფიქრობ, არცა მეშინიან, მაგრამ ამასკი გამოტეხით ვიტყვი, რომ შენ ჩემზედ მშიერისარ. მე მსურს, მაგრამ ძალი არ მამდევს.

— გსურს, ძალაც მოგეცემა. ღმერთი მოგცემს ძალასაცა ⸗ გამბედაობასაცა. აბა ⸗, გაეხვიე ნაბადში, ჰირზედ მოიხვიე ⸗ გავწიოთ.

— წადით! ღმერთი გიძღოდეთ. უთხრა დიოგენმა,

ვიცი ბოროტ საქმესედ არ წახვალთ, მეც მივხდი, არი კეთილი საქმეა.

ისინი მაშინათვე ნაბად გახვეულები გამოვიდნენ ⸗ სწრაფად გავიდნენ მეიდანზედ, იმ ღამის წვიმიან სიწუვდიადეში, სადაცა სვეტი ამართული იყო უქაზ მიკრული. ისინი რომ წავიდნენ, მაშინათვე მოიჯრა სებასტიანე ⸗ ჭკითხა დიოგენს, ხომ არ ენახა ჰანკრატი ⸗ კვადრატი? როდესაც შეიტყო სებასტიანემ იმათი განზრახვა, დიდად შეწუხდა.—ნახევარ საათს არ გამოუვლია, რომ მოცვივნენ ჰანკრატიც ⸗ კვადრატიც, რომელთაცა მაგრა კარები ჩაკეტეს.

—აი, ეს თქუენი უქაზი! დაიუვირა სიხარულით ჰანკრატიმ, რა აჩვენა მოგლეჯილი სვეტითგან ⸗ დახეული უქაზი.

— რაო? ჭკითხეს დიოგენმა ⸗ სებასტიანემ განკვირებით.

— აი, წაიკითხეთ:„ ჩუენ მაქსიმილიანე დიდი იმპერატორი ⸗ ღმერთი რომაელებისა, კეისარი კეისარი . . . .„

მაშინვე ჰანკრატიმ ჩააგდო ცეცხლში, სადაცა აჰრიალდა ⸗ ერთს წამში ნაცრად იქცა.

სებასტიანე უეურებდა შეწუხებული იმ უქაზის ფე-

რფლებს რომლით უნდა მისცემოდნენ ტანჯვით სიკვდილსა, რამდენიმე უმანკონი. იმან იცოდა, რასაკვირველია, რომ თუ აღმოჩნდებოდა უქაზის დამსვევი, მიეცემოდა თვით უსაშინელესს ტანჯვით სიკვდილსა. ის დარწმუნებული იყო, რომ მოეკლათ სიმართლისათვის ეს კეთილშობილი ემაწვილი კაცი, ამ გამბედაობისათვის, მაგრამ ვერ შეიძლო დაეშალა. ჰანკრატი რა დამმეიდდა გულისცემისაგან, დაჯდა ვახშამზედ და გვერდს მოისვა იქ მეოფნი, ღვინომ გაამხიარულა ყველანი გარდა სებასტიანესი, ის ღრმად ჩაფიქრებული იყო მწუხარება მოცული. როცა გაათავეს ვახშამი, სებასტიანემ მოჭიდა ხელი ჰანკრატის, ერუ ქუჩისაკენ გაატარა ჯ მოაცილა შინ.

მეორეს დღეს კორვინია მიეიდა დილა ადრიან მეიდანზედ სვეტის ჯ უქაზის სანახავათ, არ შეიძლება გამოვთქვათ ის შეწუხება ჯ გაკვირვება, როგორც ის შეწუხდა ჯ თავს ზარი დაეცა, რომ ნახა უქაზი დაეფსრიწათ ჯ ორიოდე დაწერილი ნაჯრები ისევე აქა იქ მიკრული იყო, ის მივარდა ყელში როგოც ჰირუტეკი ერთს სალდათსა, მერე რომ მოაგონდა იმ სალდათის ჰირუტეული თვისება, შეშინდა, უკან დაიწია ჯ შეუეკირა:

— უმგზავსო! გონება გამოცლილო, ხეტო! სად არის უქაზი?

— ჩუმათ, ჩუმათ, სუს, უპასუხა სალდათმა. განა ვერა ხედამ? აი სად ერის!

ᲦᲐ იმან ხელი მიიშვირა სვეტზე.

— მერე სად არის, დაუკვირა კორვინიმ, აბა მაჩვენე, უტვინო მხეცო! სად არის მეთქი?

სალდათი მივიდა ბოძთან ᲦᲐ თვალი დაუკვირა. მერე შემოუარა გარშემო, შეხედა, შემოხედა ᲦᲐ უთხრა მშვიდობიანის ხმით.

— რა ვქნა, ამოდენა ბოძს როგორ ვერა ხედავ? აი შენი ბოძი! შენ არ მიბძანე ბოძს გაუფრთხილდიო, როგორც ჩამაბარე, ისე გაბარებ ამ შენ ბოძსა. ვერა ხედავ რომ ბოძი აქ არის.

— ბოძი, ვიცი რომ აქ არის, რეგვენო, სად არის ქაღალდზედ დაწერილი განცხადება?

— ერთი რიგიანათ შემატეობინე ᲦᲐ შედალოცვილო. უთხრა სალდათმა, ბოძი მომაბარე, ეს შენი ბოძი, სხვა რა გინდა. რაღასაც ქახალდს რომ მეუბნები, მე რა გამეგება ქახალდისა, წიგნი რომ არ ვიცი; არა, რომელს შკოლაში ვარ გაზდილი. მაგსაქმეებისა არაფიცირა. მრთელი ღამე წვიმა მოდიოდა, იქნება

წვიმამ დაასველა ჩამოოშალა.

— მერე, ქარმა წაიღო ნაფხრეწები? შენ უმზგავსო! მომიგე ჩქარა, ვინ მოვიდა აქ წუხელის.

— რა ვიცი, ორნი ვიღაცანი იყვნენ.

—ვინ ორნი?

— ვინ იცის! იქნება ის ორნი ჯადოქრებიც იყვნენ:

— რა სულელობას ანბობ! ხმა ჩაიწყვიტე! სთქვი რიკიანად შენ ვირო!

სალდათს თვალები უნათნენ, იმას თან ჩ თან გული მოუვიდა. კორვინიმ ეს რომ შენიშნა დამშვიდდა.

— ოჰ, კარგი, კარგი, ჩ კეთილი; რა სახის კაცნი იყვნენ იქ რომ მოვიდნენ!

— ერთი ემაწვილი იყო, გამხდარი, წვრილი, ჰატარა, ისე რომ ალაგზედ ძლივსა სჩანდა, ის ჰატარა დატანტალებდა ამ ბოძს გარშემო, მე მაშინ ჩემს ამგანაგებს ველაპარაკებოდი მაშინ, რასაცა შენ კითხულობ იქნება იმან წაიღო.

— შეორე ვიღა იყო? რა სახისა?

სალდათმა გამბედაობა დაიწყო ჩ მოუვა!

— მეორე? სწორე გითხრა, მე იმისთანა ხელ-

მკლავიანი არაკინ მინასავ.

— რათ იცი ეგა?

— აი რათ ვიცი, ეური დამიგდე. ჯერ პირველად ის მოვიდა ჯ დამიწეო ტკბილად ლაპარაკი, მკითხა ხომ არა გცივაო, ან ხომ არ დაიღალე შენ საცოდაო ფეხზედ დგომითაო. გათენების დროც მოახლოებული იეო. მაშინვე მომაგონდა ბძანება, რომ არაკინ მომპარონს ქა. იქვე უთხარი, მომშორდი აქედან, თორემ შვილდის ისრით გულს გაგიპობმეთქი.

— კარგი, აგრე იტეოდი რაღა. მერე სხვა რა თქვა?

— რა თქვა ჯ, გამოუდექი უკან, მოვიხიდე მშვილდი ჯ სულ ერთიან თავზედ გადმომამტვრია. აბა შესედე ნამტვრეები სადა ჭერია. რა გაჯავრებს, რომ ჯავრობ!

— მერე რატომ ხმლით არ მიკარდი ჯ ლუკმა-ლუკმად არ აქცეე. სადა გაქვსთ ხმალი? ქარქაში მანდა გაქვსთ ჯ პირი კი აღარ გიჩანს.

— ხმლით რატომ არ მიკარდიო? ადვილათა ბძანებთ. ამოვიღე თუ არა ხმალი, წამართვა ჯ აგერ აი იმ ბანზედ გარდამიგდო. დაშამათსა, ეს რა შორს გადაუგდია?

— მერე როგორ დაანებე შე უტვინო?

— დაანებეო? ვინ დაანება? ბარემ არ დავანებებდი, მაგრამ რა მექნა, როდესაც რომ ჯადოქრობის მანქანება იყო. ისინი კაცები კი არ იყვნენ. ისინი იყვნენ ეშმაკები.

— ტუტუცობას ნუ ბოდავ, სად არის ეშმაკები? მერე?

— მერე ჰ, იმ ჰატარა ბიჭმა, რომელიც ბოძს დასტრიალებდა, წავიდა ჰ ის მე რომ ეშმაკი მებრძოდა, ისიც თან გაიდევნა. მაშინვე გაქრნენ.

— ვინ გაბედავდა ნეტა ამას. სთქუ გაკვირვებით ჰ შეშინებით კორვინიმ, მერე მიუბრუნდა სალდათსა. რატომ არ დაიყვირე, სხვა ყარაულებიც არ გააღვიძე ჰ არ გამოუდექით.

— განა ეშმაკებს გამოუდგებიან? ჩუჩნ არ შეგვიძლიან ეშმაკებს ვიომოთ. ამას გარდა, რა საჭირო იყო გამოვდგომოდით მაშინ, როდესაც რომ ეს ბოძი ხელუსლებადა სდგას, ბოძს გაუბრთხილდიო ჰ აჭა შენი ბოძი. სხვა რა ვქნა!

— შენ ბარბაროსო, უგონო! ახლა ხომ მეც დავიღუპე ჰ შენცა. შეჰყვირა კორვინემ.

— დასაღუპავი რა მიქნია მერე? აი შენი ბოძი!

— რატომ არ იცი, რომ ის ორნი მზვერავები ეოფილან.

— ჩუქენ მაგისი არა გაგვეგებარა რა, ბოძი მოგვე, ბოძი ჩაგვაბარეთ.

კორვინია მწუხარებისაგან გადაირია, არ იცოდა რა ექნა.

— მოიცა შე უმზგავსო, შენ დაგსჯიან მაგ დანაშაულობისათჯს.

— თუ მე დამსჯიან, შენც დაგსჯიან, როგორც ჩემს მეუფრესს.

კორვინის ფერი წაუკიდა.

— თუ მე დანაშაული მაქვს,—შეუძასა სალდათმა გაბედვით, რომელიცა კორვინიაზედ ნაკლები არ იო, ჯკუით,—შეცნა გაქვს დანაშაული; შენს თავსაც უშველე ტ ჩემსაცა. უფრო სასტიკად დაისჯები, შენ მინამ მე, შენ ქალალდი მოგაბარეს ეძიე ქალალდი, ჩემთჯს ბოძი მოუბარებიათ, აი, ჩაიბარეთ ბოძი. ხედავ მთელია!

კორვინი დაფიქრდა.

— იცი რას გეტყვი შენ, ახლავე გაიქეცი ტ დაიმალე. შინითგან გარეთ ნუ გამოხვალ ტ ნურავის ეჩვენები, რამდენიმე დღესა, ჩუქენ ვიტყვით, რომ დიდ ძალი სალხი დაქცემია ტ მოუკვლიხართ. გესმის! შინ

დაჯექი! ჰიეასაც მოგიტან რამდენიც ეინდა.

სალდათმა მაშინათვე მოუსვა. რამდენიმე დღის შემდგომს, ეს სალდათი წელის ჰირას გამორიეული ეგდო, ყელ გამოჭრილი, უეჭველი იეო, კორვინიას მოეკლვინებინა. სალხმა იფიქრა, როდესაც ეარაულათ ეოფილა ბოძთან, ჯ დაესცემიან, მაშინ მოუკლავთო. ილაჰარაკეს, ილაჰარაკეს ჯ დაიეიწეეს.

როდესაც კარგა გათენდა, სალხი მიატეედა დასობით ამ ბოძსა, მიეთმენლიე შეჰეუროდნენ, რომ წაეკითხნათ ბეისრის ექაზი, სინჯეს-სინჯეს ჯ ვერაფერი ვერა ნახეს რა ცარიელი ბოძის მეტი. ზოგნი ანბობდნენ კეისარმა შესცვალა ექაზი ჯ თავი დაანება ქრისტიანებსაო, ზოგნი ანბობდნენ ქრისტიანებს მოუტაცნიათო, ზონი რას ჯ ზოგნი რასა.

— როგორც ჰირეტეები, ეს ქრისტიანები ისე უნდა ეხოცოთო, ანბობდა ერთი.

— ცეცხლში დასაწვავნი არიან, ანბობდა მეორე.

— თხასაეით ყელები უნდა გამოვჭრათ, უმატებდა მესამე,

— მე მგონია ეს ანბავი უფრო ჯადოქრობა უნდა იეოს, სთქეა მსწავლულმა კალპურნიმ, რომელიცა მოეიდა ჯ სინჯეედა, თუ რა იქნა ექაზი.—თუ ჯადოქ-

რობა არ არის, მაშ რა იქნა ყარაული? პირველნი ქრისტიანები; ჯადოქრები იყვნენ, რაებს არ სჩადიოდნენ ? რა ნაირათ არ აოხრებდნენ ქვეყნებს: აქაური ქრისტიანებიც იმათის ჯინშისანი არ არიან!

— იქნება ყველა ქრისტიანი ჯადოქარია? ჭსთქუა ერთმა.

უეჭველია ჯადოქრები არიან ამისათჯს არიან მრთელნი, მაშ სხვა რა არის მიზეზი. აბა უეურეთ ლვდლებს როგორ პატივსა სცემენ? რათაო? ამისათჯს რომ ჯადოქრები არიან.

— კიდეც ამისათჯს გამოსცა ჩუწნმა კეისარმა უქაზი, სამართლიანი, სთქუა ფულვიამ, რომელიცა აგრეთვე იქ იდგა. ისინი ლირსნი არიან, რაც უნდა სატანჯელით მოკლან. ესე არ არის სებასტიანე? მიუბრუნდა სებასტიანეს, რომელიცა იმ დროს ისიც იქ მოვიდა.

— თუ რომ ქრისტიანები ჯადოქრები არიან ? ამითი დამნაშავენი, თუ რომ ბოროტნი, ისინი ლირსნი არიან დასჯისა, მაგრამ მაინც, ჩემის აზრით უნდა მიეცეთ რომელიმე უფლება. მიუგო სებასტიანემ.

— რა უფლება? ჭკითსა ფულვიამ.

— მე მსურს, რომელნიცა ანბობენ ქრისტიანები ასეთნი არიანო, კანონმა მოსთხოვოს იმათ დამტკი-

ცება ჯ თუ აღმოსჩნდებიან დამნაშავეთ, იმათი დასჯა კი არ უნდა მიანდონ ლოთებს, გარეგნილებს, რაც მე შემეხება, მე ვიცი რომ ქრისტიანებში არც ერთი ეგ სა-ზიზღარი თვისება არ არის, რასაცა სწამებენ.

სალხმა შექნა ეაეანი. ფულვია მეტის სიანჩხლით გაწითლდა, მაგრამ სებასტიანეს ზარიგით ხმამ, იმისმა მშვენიერმა შასახედაობამ, ყველა იქ მოფნი შეაფიქრა. სალხის სიმულილზედ ჯ ეაეანზედ, სიმართლის თქმა მეტად მოქმედობს ჯ არ იეო რომ ამ სიტყვებმა იქ მეოფი სალხი როგორღაც შეაფიქრეს.

ეს სიტყვები რომ თქვა სალხში, მაშინვე გამოტრიალდა ჯ წამოვიდა ქუჩისაკენ, გულზედ აწვა მწუსარების სევდა ჯ ფიქრობდა: ნეტა როდემდის უნდა ვიტანჯოთ? როდემდის უნდა ავიტანოთ ეს საშინელი ცილის წამება; როდემდის უნდა ვებრძოლნეთ, ეს მცირე სალხნი, ამოდენა ზღვასავით სალხსა? ნეტა რა უბედურება არის, რომ არ უნდა გამოიკვლიონ, თუ რა სარგებლობას აძლევს ჩუჩნი ქრისტიანობის სწავლა ქვეეანასა, ამ დროს ის უცებ შედგა.

— კეთილო სულო! შემოესმა სებასტიანეს უკანითგან. მოვითმინოთ. მოვიგონოთ მაცხოვრის სიტყვები »ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათჯს, რამეთუ

მათთჳს არს სასუფეველი ცათა»

— მადლობელი ვარ ციცილლია, უთხრა სებასტიანემ, შენის ჰირითგან, როგორც უმანკო ერმისგან, აღმოვიდენ ქრისტეს უწმინდესი სიტუვები, მადლობელი ვარ, რომ გამომიუვანე საძუსარო ფიქრებითგან, საით მიხვალ ამ დროს, როდესაც იწუობა ჩუენი საშინელი დევნილება.

— მე ეპისკოპოზმა დამნიშნა, რომ ქრისტიანები, ჩაგასხა კატაკომბში, რადგანც იმათ გზა არ იციან. მიგდივარ ახლა, შეგასრულო ეს ბძანება. თუ იქ მოასდეთ, ილოცეთ ჩუენთჳის, დაესხენი ჰირველად მე მოვჳტე.

სებასტიანემ შეაუენა ტ რაღაცა ჩუმათ წაუჩურჩულა.—იმ დღეს მრთელი ქრისტიანობა ჩაიხვეტა კატაკომბში.

შემდეგი იქნება.

მ ო გ ზ ა უ რ ი.

(შიდლერით)

ჩემს წლოვანების გაზაფხულს დროსა,
რა დაუტევე მამის სახლ-კარი,
სრულად მივეცი დავიწუებასა,
თჯსიც, ტომიცა ჯ მეგობარი.
ტანთ მეცვა იმ გვარ, ვით ღარიბ მგზავრსა,
გულზედ მეწერა უმანკოება,
ამ სახით, ფიქრით, შეუდექ გზასა,
წინამძღვრად თან მევა—სარწმუნოება.
გაბედვით ვევანდი იმის იმედსა,
მეჩვენებოდა გზა არა შორსა,
მხოლოდ მესმოდა ხმა იდუმალი.
« მიმართე მგზავრო ალმოსავლეთსა!
ნახავ შენ იქა წმინდას ალაგსა,
დაგხვდება ტურფა, დიდი ტაძარი,
ჯ შეიძინებ თჯთ იქ ბევრს კარგსა,
ამ ქვეყნად კარგი თუ რომ რამ არი! »
მოსდევდა დღესა ღამე უფრსკული,

დღეს დანათებდა მზე ათას ფერად,
სად იყო ჩემთჳს იგი აღთქმული,
ვეძებდი, მაგრამ ჭეშმარიტებდი ვერსად.
სან შემხვდებოდა საშიში ფლატო,
სან ვაწუდებოდი მთასა მაღალსა,
დავტანტალებდი ობოლი, მარტო,
უცებ წავაწედი მდინარე წყალსა.
იგი სიჩქარით რა მიმართვიდა,
ჩემთჳს აღთქმულსა აღმოსავლეთსა,
მისსა კიდეზედან ნავი იდგა,
მხოლოდ ვხედავდი მაშინ ამ ერთსა.
შეწუხებული, მაგრამ იმედით,
ჩავჯექი ნავში, მივეცი ზვირთებს,
გავწიე მსწრაფლად აღმოსავლეთით,
არ ვიშორებდი კვალად იმ იმედს.
ახ! მიმცა უცებ წყალმა ოკეანს,
ღორით, ზღვის ორთქლში ვარჩევ იმედებს,
მაგრამ არ იქნა, საწყალს ღარიბს მგზავრს,
ვერ მივახლოვდი ვერას გზით კიდეს.

ი. კერესელიძე.

1873 წელ. **27** ოკტომბერს
ქ. ტფილისს.

საშუალო ანბავი.

გორის უფლის ზემო, ერთს მშუშნიერს სამოთხის მსგავსად აღფენებულს სოფელში, სდგას ორ ეტაჟიანი სახლი, რომელსაც გარემო ახვევიან ვაზით, ხეხილით შემკობილნი ბაღები, შიგ წყალ გამომდინარენი ¶ მეოთხე მხარეს ჩამოუდის მქუხარე ლიახვი.

ეს მშუშნიერი ალაგი, ჩინებულის მდებარეობით, მდინარეებით ¶ ჰაერით, 12 საუკუნეში აურჩევია სხუათა შორის შესაქცევად, საქართუშლოს მეფეს თამარს აუშენებია თავისათუს სახახლე, გაუმრავლებია მცხოვრებლები ¶ უწოდებია თავისივე სახელი «თამარის შენი» რომელ სოფელსაც ახლა ეწოდება თამარაშენი. ესლა არიან იქაურნი მებატონენი მაჩაბელნი, ქართველნი, ურიანი, ოსნი.

ამ თამარაშნის ჰირდაჰირ ლიახვს გაღმა მთაზე, შეფენილ სოფლებში, სადაცა კლდიდამ გამოქუსანან უჩინებულესნი წყაროები, რომელნი დროსა სიცხიცხისა ეინება ¶ ეინვისასა დნება, აქედამ ატესილი მთა მი-

მაგალი ჩრდილოეთისაკენ, შეერთებული დიდსა იალბუზ-
ზსა, რომლისა აშვერილს წვერს მდებიან სალხნი «ბრუ-
ტის საბძელს» უწოდებენ ⁂ მოგვითხრობენ, ვითაც იქ
არის დიდი საზინა მეფეთა ⁂ მუნვე ტარტაროზთა ⁂
ქაჯთა საძეოფი.

ამ იალბუზსა უფროსლა კავკაზსა, მსცოვანს. უბერე,
ბელსა ვერა რა უვნირა ვერცა წულით რღვნასა ⁂ ვერცა
საშინელთა მეკრათა ⁂ ხხუთა, იგი არს უძრად მსგა-
ვსი მოწამისა ⁂ მნახავი მსოფლიოს მრავლის ცვლილე-
ბისა, უკუნთა დროთაგან, რავდენთა სახელოვანთა გმირთ
მხედრობათ ერთი მეორესათჳს თავები უმსხვრევიათ. ეს
მთები, ეს მხარე ალაგები არიან ცხოველნი სურათები
ნამდვილის ბუნებისა; შემკობილი მთა, ტყე, მინდ-
ვრები, წულები გამომდინარენი, ფერად ფარადის მოძ-
რაგით საგსენი.

აქაცა არიან გონიერნი არსებანი, დასაბამიდამ ხე-
უვავილსავით მოდიან, მიდიან იბადებიან, იხოცებიან, სი-
ცცოხლე გადიდის შვილთა ⁂ შვილის შვილთა ზედა, აქაცა
ჭბერავს ნიავი სიცოცხლისა, აქაცა უცემთ გული სი-
ეუარულისა ⁂ სიძულილისა; აქაცა არის სიხარულიცა,
ვაებაცა, აქაც არის მორევნა ⁂ ლვა, მუხთლობა,
ობა, ეველასა ჭეავს წინა ალმდეგი ⁂ ერთი მეორე

მეათეკრელი, მელაპავსა ჭეეას მელაპავი, მაძრევს მა-
ძრევი, ძმაგრამ დრო ეოვლისავე ამის არის ალმსოცველი.

მე ფიქრ მეული გადავცდი ჩემს დანიშნულს გზასა,
თუ რაზედ უნდა მელაპარაკნა მკითხველებთ იმისთვის ახ-
ლა მამაგონდა რომ, მე ისეეე უნდა უკან დავბრუნდე ⸗ ⸗
შეეიდე ზემოხსენებულს სახლში, ვაცნობო მკითხველთა
რაც მოხდა. ამ სახლის ქვემო ატაჯას თითქო გაჭეოფს
ორად ალმოსავლეთიდამ ჰერედნასავით გასავალი, ერთს
მხარეს კუსნა ⸗ ზედ დიდი სახლი ჰურის ამბარისა,
მეორე მხარეს საკუჯნაო ⸗ მასთან ოთხი სუფთად მო-
რთული ოთახი, სადაცა იდგა მებატონე თავადი დავით
ბარძიმის ძე მაჩაბელი, ამ მაგარს ოთახსა აქვს ფან-
ჯრები უკარებოთ ⸗ ურკინოთ, ერთს მხარეს ტახ-
ტის მსგავსი გძელი მდივანი დგას კარგათ დაფენილი
⸗ მეორეს მხარეს დიდი განიერი კრაოტი ქუჩშაგებ ფე-
ნილი, ამ ქვეშა-ეების გარემო ეუთი ველისა, საქმის ქალალ-
დები ზაკონები, ქართული წიგნები ⸗ რაგინდარა, ეს
კრაოტი იეო მ-ხსენებულის მებატონის დავითის სამარა-
დისო განსასვენებელი, ამაზედ იჯდა მუდამ, სწერდა,
კითხულობდა, თუ ბაასობდა, ანუ ეძინა, აქ ეაუტარე-
ბია მრავალი მხიარულებაცა, მწუხრვბაკა თითქმის 35 ის
წლის განმავლობაში.

ღამე, დროსა მღვიძარობისა თუ ძილისასა. სამთელი არ გაჭრებოდა არას დროს, მას ხშირად გაუკრთებოდა ხოლმე ძილი, მთელი ღამე გაათენებდა მარტო უძილოდ, ფიქრისაგან გაბრუებულსა არც კი ესმოდა თუ რამდენ სიმრავლე ჰაჰირაზსა ! წევდა, ამისთანა მდგომარეობაში მყოფსა თავადს მაჩაბელსა, მერვეს დღესა ამა ოკტომბრისასა, ამ კრაოტზე ღამე, მძინარესა თუ მღვიძარესა, კარ დაკეტილში, მოულოდნელად, უცებ დაადგა თავსა ვილაც ავაზაკი იარაღით, დასისხლდანთხეული მაჩაბელი დასცა ჰოლზე მკვდარი, წარმოსადგენია ის მინუტი, ოდეს წეული სატანა შეეიდა გულს. ბ. მით შეიჰარა დასხულ სამოთხეში, რათა ევას ბ ადამისთჳს მოეკლო ის ნეტარებითი დიდება, რომელიც ზეგარდმოცემული აქმნდათ ესეცა ნუ თუ ამავე სატანამ, ამ ავაზაკის გულში შესულმა შეაჰარა დაკეტილ კარიანში მაჩაბელთან. კაინმაც რა იცოდა მოკვლა ბ სიკვდილი რა იყო, მაგრამ სატანამ ასწავლა აბელის სიკვდილი ბ ამ ავაზაკმაც კაინზე მეტი ჩაიდინა. მერე უბედურებამ თავისუფალი დროც მიანიჭა, სამთელ მთებარეში არავინ დაუშალა, არავინ შეარეია იმისი ჯოჯოხეთური ქცევა, როცა ჭკლავს, მერმედ ფულით სცრცვნის მკვდარსა, ბ მოუკიდებს ცეცხლსა სახლსა ბ

მკუდარსა, რათა აქციოს ნაცრად მკუდარი, სახლით, საცხოვრებლიანათ. მეორე დღეს დილაზე შეაჩმნიეს რაღაც შავი კომლის ბურუსები გამოდიოდა ოთასიდამ, შემოურბინეს სასახლეს, არახუნეს დაკეტილი კარები, ემახეს, ხმა რომ ვერ გაიგონეს კნიაზისა, მაშინ შემკრთალთა შექმნეს ვაება ტ ყვირილი, ხალხნი მისცვივდნენ დაანტვრიეს ფანჯრები, კარები, გააქრეს მკვდრის სხეულზე მოკიდებული ცეცხლი და სსუა კი თავის თავად გამქრალიეო.

თავადი დავით მაჩაბელი აღსრულდა **59** წლისა, გიმნაზიაში კურსი შეუსრულებია **1835** წელსა, სამსახური დაუწყია ტფილისის გლავნი უპრავლენიაში, მერმე სამხედროში, სადაცა მიუღია ჩინი ჰოდ-ჰორუჩიკობისა ტ სტანისლავა, მას უკან დატრიალდა სახლში, მაშინ როცა იმის მამა ბარძიმ მაჩაბელი გარდაიცვალა **1839**-წელსა, ეს დავითი თავისმა მამამ მაჩაბელმი, აქორწინა თავის სიცოცხლეში, თავადის სვიმონ წერეთლის ასულზე, რომლისაგან ეშვა მე აბესალომ, ეს წერეთლის ქალი შემკული ოვლის ღირსებითა ტ კეთილ ზნეობით განშვენებული, თავისმა მამამ წერეთელმა მშობლიურის სიყვარულისა გამოვერ განიშორა თავის სიცოცხლეში, იტყოდა თურმე;

განშორებასათანა ასულისა ჩემისა სულიცა ჩემი გამნ-
შორდებაო.

აგრეთვე მოხსენებული თავით მაჩაბელი, უმაგა-
ლითო სხუათა სიწმინდით, მარტო მცხოვრები, თა-
ვის საკვირველის ზნეობით ქალთან, არამცთუ სამუ-
დამო ცხოვრებას, თითქმის მცირედ ლაპარაკსაც ერი-
დებოდა, ამის გამო კნეინა მაჩაბლისა ელისაბედი დაშ-
თა თავის მამასთან იმერეთშია, უმეტეს მაშინ, როდესაც
შვილი მისი აბესალომ მამასთან ისე არა, როგორც
უფრო დედასთან იმეოფებოდა, სასწავლებელშიც ჯ მე-
რმე ქუთაისს სამსახურშიაცა.

უკანასკნელ ამა აბესალომ დაავათის ბემ მაჩაბელმა,
კაცობრიობის ღირსებით განბრწყინვებულმა, აიღო ნე-
ბის რთუა ჯ კურთხევა დედისა ჯ მამისა თვისისაგან,
ჯ იქორწინა ამა გავლილს აგვისტოს თვეში, თ. კრი-
გოლ ივანეს ძის ერისთვის ქალზე, რომლის დედა
არის ლენერალ ოტინფანტერის გიორგი ერისთავის ქა-
ლი მარიამ, ამ შვილის ქორწინებაზე ხარობდა დავ-
ით მაჩაბელი ჯ ახალი სარძლო მიაჩნდა მოვლენილ
ანგელოზად, სამძღვარი არა ჰქონდა იმის სიხარულსა,
შეიტკბო ჯ შეიყვარა რძალი როგორც ჯილდო ჯ
დიდება ზეგარდამო მონიჭებული, რომლისათჳს ხშირად

ხელაჯვერობით მალობის შემწირველი მღვთისა, სწრ-
ავობდა საუკარელის შვილებითა ჯ კნეინა ელისაბედით
თავის სახლში თამარაშენს ერთობ დღესასწაულობასა
ჯ განასლებასა ახლისა მცხოვრებისასა, მაგრამ დავით
მაჩაბელი ამ სანატრელს დროს ვერა შეესწრო, აღ-
სრულდა იგი მოწამებრივისა ტანჯვითა.

ეს დავით მაჩაბელი რუსულს ენაზედ კარგად მცო-
დინარე ჯ ქართულიბსა ბოეტი, ლექსთ თხზულბანი მი-
სნი სასიამოვნო გემოვანნი ჯ შეწყობილნი, კარგის
ხელოვნებითა, რომელთაგანნი მრავალნი არიან დაბე-
ჭდილნი ჟურნალის «ცისკარში სახელდობრ!» ვარდი,
ჩემი ლოცვა, ქართლო, ჯ სხვანიი.

დავითსა ჰქონდა ჩვეულება, სადაც იქნებოდა, თამა-
რაშენს, გორს, თუ ტფილისსა, შინიდამ კარზე არ
გავიდოდა, ვისაც უნდა დაეპატიჟნა ძნელად წავიდოდა,
მაგრამ იმის ანდამატურს მიმზიდველობას არ აკლდ-
ნენ, თითონ მოდიოდნენ, მუდამ გარს ეხვევნენ, დი-
დნი თუ მცირე ბირნი, იგი იყო ჭკვიანი, თითქო მკვ-
ლისა ჯ ახლისა ეოვლისა ისტორიისა ჯ საგანისა
გამომრკვეველ მცოდინარე, ერთის სიტყვით იყო გა-
ნათლებული გუამი.

ამისი გამოთქმა იყო მარადის ტკბილი, ზრდილო-

ბიანი, ბაასობაში თუ ხუმრობაში მოლაპარაკეს უკეთუ შეამჩნევდა რომ, იმაში ურევია რაიმე უზრდელი სიტ-ყვები, ეურს მოარიდებდ,ა არ გაეგონა, ანუ ანიშნებდა არდა გაეგრძელებინა, თუ ვერ დაჩუმებდა ვერ მოი-თმენდა უთუოთ უსიამოვნებას შეამთხვევდა, მაგრამ ერ-თს ან ორს საათს უკან, რაც უნდა ნაჩხუბნი ეოფი-ლიეო ტ რაც უნდა ზარალი მისცემოდა იმ კაცისაგან, შინაურისა თუნდა გარეულისაგან მაინც თუ მოვიდოდა ანუ შემთხვევით როგორმე ნახამდა, კიდევ ისე ჩვეუ-ლებრვის ალერსით მიბღებდა ტ არ მოაგონებდა არას დროს თუ იმისაგან ეწყინა რამე, ეს ჭქონდა მუდმივ განთვისებულის კეთილოვნებითა ტ არა სხვებრ, თა-ვადს მაჩაბელს ჭქონდა, დიდ კაცური მიმღეობა, გაც�გამოცემა, სიუხვე სიმსრავლე, იმისი ხელი არ დასცა-ხრებოდა ქვრივ ობოლთა, სამღვდელოთა, საწუალთა, უქონელთა ტ გაჭირვებულთა ძლევითა, გაჭირვებულის შემწეობისთჯს თვითცა შეიჭირვებდა ტ ნუგეშიერის სი-ტუვითა ტ საჩუქრითა მწუსარებას განუქარვებდა.

ამასთანვე იეო, მშვიდი წუნარი, სამაგალითო კეთი-ლი ტ კეთილის მოქმედი, აჯი საქმისაგან განშორებუ-ლი, გარდამატებული მღუთის მოუვარე, დილასა ტ სა-ღამოს გრძელს ხანს მლოცველი.

იოსებ ელიოზოვი.

1863 წ. 24 ოკტომბერს.

თფილისი.

1873 წელსა

«ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სასით: ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით. 3 მანეთი.

რედაქცია იმეოფება ბაზრის ქუჩაში თამაშოვის სახლებში.

ვისაც ჟურნალი დაჯილდეს ⁄ თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

Дозволено цензурою

Въ Типографіи И Кереселидзе, на базарной улицѣ, въ домѣ Тамамшѣва.